ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს მე-6 სხდომის
დღის წესრიგი:

6 ივნისი, 2022 წელი.

1. „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის №2/25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხს: ბექა ვაჭარაძე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/
/თანამომხს: თემური დუნდუა - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

2.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ.
/მომხს: თემური დუნდუა - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

3.,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება MERCEDES BENZ C 280-ის (რეგისტრაციის ნომერი - ZZ 797 ZV, გამოშვების წელი - 1999) და SKODA OCTAVIA-ს (სარეგისტრაციო ნომერი XX 041 XV, გამოშვების წელი - 2013) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექციისათვის“ თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე, უსასყიდლო უვადო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.
/მომხს: ბექა ვაჭარაძე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/
/თანამომხს: თორნიკე ხარჩილავა - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის თავმჯდომარე/

4.,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სატრანპორტო საშულებებზე ZONDA BUS (სარეგისტრაციო ნომერი ER085RE, გამოშვების წელი - 2008, ტიპი - ავტობუსი), ZONDA BUS (სარეგისტრაციო ნომერი ER086RE, გამოშვების წელი - 2008, ტიპი - ავტობუსი) და ZONDA BUS (სარეგისტრაციო ნომერი ER087RE, გამოშვების წელი - 2008, ტიპი - ავტობუსი)-ზე შპს ,,ფოთის სატრანსპორტო კომპანიასათვის“ უსასყიდლო სარგებლობის (თხოვება) უფლების შეწყვეტასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.
/მომხს: ბექა ვაჭარაძე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/
/თანამომხს: თორნიკე ხარჩილავა - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის თავმჯდომარე/

5.,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 19 აპრილის, N4/30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
/მომხს: ბექა ვაჭარაძე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/
/თანამომხს: თორნიკე ხარჩილავა - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის თავმჯდომარე/

6.„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12 მე-16 ნაწილებით, 125^4, 135-ე, 135^1 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №6/13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხს: ბექა ვაჭარაძე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/
/თანამომხს:ბექა მორჩილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე/
/თანამომხს: ნიკა კორშია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე/

7. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12–მე-16 ნაწილებით, 125^4 და 135^1 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის №4/7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ბექა ვაჭარაძე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/თანამომხს:ბექა მორჩილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე/

/თანამომხს: ნიკა კორშია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

8.„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალისა და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ“ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 მარტის №6/10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ბექა ვაჭარაძე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/თანამომხს:ბექა მორჩილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე/

/თანამომხს: ნიკა კორშია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

9. „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის №2/5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ბექა ვაჭარაძე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/თანამომხს: თემური დუნდუა - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

/თანამომხს: ნიკა კორშია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

10.„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს: ბექა ვაჭარაძე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/თანამომხს: თემური დუნდუა - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

/თანამომხს: ნიკა კორშია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

11.„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურის, ხელოვნების, განათლების მუშაკების, დამსახურებული საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდების, სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის საუკეთესო კურსდამთავრებული პირების მატერიალური წახალისების (ჯილდო) წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 აპრილის №4/15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ბექა ვაჭარაძე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/თანამომხს: ნანა ვეკუა - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

12.„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის №1/5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხს: ნიკა კორშია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

13.„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის №1/6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხს: ნიკა კორშია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყებუჩავა